



თელავის მუნიციპალიტეტი

ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები

დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

2013 წელი
ქ. თელავი

სარჩევი

1. ტექნიკური/საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია.....	3
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	5
3. დანართი N1- ფასების ცხრილი	9
4. დანართი N2 - რეკვიზიტები	10
5. დანართი N3 - ინფორმაცია გამოცდილების შესახებ	11

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტექნიკური დოკუმენტაცია

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

იურიდიული პირებისათვის (მათ შორის ინდ.მეწარმეებისთვის)

2.1.1 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ფიზიკური პირებისათვის:

2.1.2 პირადობის მოწმობის ასლი;

2.1.3 ცნობა ფიზიკური პირის ქმედუნარობის შესახებ გაცემული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან.

2.2 ტექნიკური დოკუმენტაცია (პირველად ასატვირთი დოკუმენტები)

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

2.2.1 ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი N1-ის მიხედვით.

2.2.2 რეკვიზიტები დანართი N2-ის მიხედვით.

2.2.3 ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების მიწოდების შესახებ. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს დანართი N3-ის მიხედვით.

2.2.4 აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემული აკრედიტაციის მოწმობა.

2.3 ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღს;

2.4 ამ პუნქტის 2.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.5 პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით.

2.6 პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.7 ანგარიშსწორების პირობები

2.7.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. (ხელფასი, ტრანსპორტირება, დღ და ა.შ)

2.7.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.7.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 დღის განმავლობაში.

2.7.4 ანგარიშსწორებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია ინდივიდუალურად მათთვის მიწოდებული მომსახურების ღირებულების ოდენობით.

2.7.5 შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ოდენობის შესაბამისად, არაუმეტეს სატენდერო წინადადების ფასის 20%-ისა, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე.

2.8 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება და აღწერილობა:

2.8.1 შემსყიდველის მიერ მითითებულ ობიექტებზე (რეზერვუარებში, ქსელებში, ონკანებზე) წელიწადში ორჯერ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად სასმელი წყლების სანიტარულ - ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევა. საანალიზო ნიმუშების აღების წერტილები შეთანხმებული უნდა იქნას შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

2.8.2 აღნიშნული მომსახურების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონით განსაზღვრული ნორმებით და სტანდარტებით.

2.9 შესყიდვის ობიექტი: **იხ. დანართი N1.**

2.10 მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები:

2.10.1 მიწოდების ადგილად განისაზღვრება: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. **იხ. დანართი N1.** მომსახურების გაწევას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

2.10.2 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2013 წლის 31 დეკემბრამდე.**

2.11 მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და/ან ბეჭედ დასმული.

2.12 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 2.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია.

2.13 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენებს ქვეკონტრაქტორს, ასევე უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორის საკვალიფიკაციო დოკუმენტები და ინფორმაცია მის მიერ ანალოგიური მომსახურების შესრულების გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

2.15 დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის გამოყენების საშუალებით წერილობითი მომართვის საფუძველზე.

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N
(პროექტი)

ქ. თელავი

----- 2013 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი გამგებლის ზურაბ ყურაშვილის სახით და მეორეს მხრივ -----, მისი დირექტორის ----- სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ხელშეკრულების საგანი: -----;
- 2.2 სატენდერო განცხადების ნომერი -----;
- 2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: -----;
- 2.4 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;
- 2.5 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 12000 ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

- 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა აღდებულებები.

დ) მიმწოდებელმა შესრულებულ მომსახურებაზე სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელოს კონტროლი ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი მომსახურების მიწოდების ნებისმიერ პერიოდში.

5.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობა. მიმწოდებელი ვალდებულია 20 (ოცი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული მომსახურების ან საქონლის ღირებულება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი ისე საერთო, ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30% ღირებულებით, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 13.2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მიწოდებელი მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულების ვადაა წლის განმავლობაში ორჯერ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

თელავის მუნიციპალიტეტი

მის: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ს გამზირი N16

საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი

ანგ. №GE31 LB01 2019 8781 1260 00

ბანკის კოდი: LBRTGE22

სკ - 231280093

ტელ: 035072300

გამგებელი

ზურაბ ყურაშვილი -----

მიმწოდებელი:

მის: -----

ბანკი -----

ა.N -----

ბანკის კოდი: -----

ს.კ. -----

ტელ: -----

დირექტორი

3. ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

N	შესყიდვის ობიექტის მისამართი	ავზის რაოდენობა	ავზის მოცულობა	მომსახურების ღირებულება
1	2	3	4	6
1	აკურა	3	120, 70, 50	
2	ვანთა	1	150	
3	ბუშეთი	1	500	
4	ხოდაშენი	1	1000	
5	წინანდალი	1	600	
6	კონდოლი	1	500	
7	კისისხევი	2	500, 280	
8	ნასამხრალი			
9	შალაური	1	300, 200	
10	კურდღელაური			
11	ნაფარეული	4	100,15,2,2	
12	სანიორე	3	25,30,40	
13	ლაფანყური	2	20; 20	
14	ლალისყური			
15	ფშაველი	2	16, 16	
16	ლექური	2	25, 25	
17	ართანა	2	600, 50	
18	ჯულაანი	2	50, 50	
19	ვარდისუბანი	1	1000	
20	რუისპირი	2	270, 500	
21	იყალთო	4	180, 600, 200, 150	
22	ყარაჯალა	1	600	
23	გულგულა	1	500	
24	თეთრწყლები			
25	სულ			

ხელმოწერა, ბეჭედი -----

თარიღი -----

4. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა, ბეჭედი -----

თარიღი -----

5. ინფორმაცია
ანალოგიური მომსახურების შესრულების შესახებ

N	მომსახურების დასახელება	შემსყიდველი ს დასახელება	სახარჯთაღრიც ხვო მომსახურების ღირებულება	სამუშაოების ღირებულება	დასრულების თარიღი
1	2	3	4	5	6
1					
2					
3					
და ა.შ.					

შენიშვნა: პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური მომსახურება ბოლო 2 წლის განმავლობაში არანაკლებ 10000 ლარის.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

თარიღი -----